# იმერეთი

ყოველდღიური გაზეთი

ფ ა ს ი:
წლიურათ . . . . . . . . 7 მანეთი
ნახევარი წლით . . . . . . 4 მანეთი
თვიურათ . . . . . . . . 3 აბაზი

ცალკე ნუმრის ერთი შაური.

წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ: ხელის მოწერის დროს 3 მანეთი დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ. საზღვარგარეთ წლიურათ 14 მან., ნახევარი წლით 8 მან., თვიურათ 6 აბაზი.

№ 95

წელიწადი მეორე

—1913—

პარასკევი, 5 ივლისი.

მისამართი: Кутаисъ, редакція газ. „ИМЕРЕТИ“.

ტელეფონი № 149.



მიიღება ხელის მოწერა 1913 წლისთვის ყოველდღიურ გაზეთზე

წელიწადი მეორე

1913

## იმერეთი

გაზეთის ფასი:

ერთი წლით . . . 7 მანეთი.
ნახევარი წლით . . . 4 მანეთი,
ერთი თვით . . . 3 აბაზი.
და ცალკე ნუმრის . . 1 შაური,

სამგლოვიარო განცხადების თითო დაბეჭდვა—სამი მანეთი.

**განცხადების ფასი:** პირველ გვერდზე პეტიტის ანგარიშით პწკარი ღირს 3 შაურათ მეოთხეზე—ორ შაურათ, შიგნით გვერდზე მორიგებით. შრომის მაძებართა განცხადება—ნახევარ ფასათ.

გაზეთის დასაკვეთი ფასი და აგრეთვე სხვა ანგარიშებიც უსათუოთ ამ მისამართით უნდა გამოიგზავნოს: Кутаисъ. редакція газеты „ИМЕРЕТИ“ Василію Челидзе

სხვანაირათ გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვე[illegible] მიიღებს.

ელისაბედ ექვთიმეს ასული სალაყაიასი და შვილები მისი გიორგი და ელენე მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ პირველი მეუღლისა და მეორენი მამის ფოთის პოლიციმეისტერის, ნადვორნი სოვეტნიკის

### კონსტანტინე ვახტანგის ძის სალაყაიას

უდროოთ გადაცვალებას ქ. პიატიგორსკში. ცხედარის გამოსვენება ქ. ფოთში საკუთარი ბინიდან დანიშნულია ამა ივლისის 5-ს, საღამოს 5 საათზე.

## ქალთა პროგიმნაზია

მარიამ კვინიხიძის ასულისა

გადავიდა იმავე თფილისის ქუჩაზე ობორინის შესახვევის კუთხეში. გამრეკელის შენობაში.

მოწაფეების მიღება დაიწყება ყველა კლასში 15 აგვისტოდან.

## დაიბეჭდა და იყიდება

ქუთაისის ამხანაგობის გამოცემა № 22

### საქართველოს ისტორია

ს. ბარათაშვილისა—თარგმანი სილოვან ხუნდაძისა რვეული III.

[illegible]მუალო საუკუნ. ისტორია (არაბთა შემოსევიდან სელჩუკთა მფლობელობისაგან გათავისუფლებამდი)

ფასი ორი აბაზი.

[illegible]ჯნის მაღაზიებს, სამკითხველოებსა და სოფლის მასწავლებლებს ამხანაგობა უთმობს 20 პროცენტს, ათ ცალზე მეტის წამღებს კი 25 პროცენტს.

[illegible]მთავრესი საწყობი და მისამართი: ბაღის ქუჩა, სანიკიძის სახლი გიორგი სვანიძეს.

[2]1 ივნისს, **დაიკარგა** დ. ხონში ოქროს [illegible]ქალის საათი მნახველს ვსთხოვ მიუტანოს ღვდელს [illegible]ესარიონ კაკაბაძეს და საჩუქრათ მიიღებს 10 მან.

კარაღინა ბარქაია.

გამოვიდა და იყიდება წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში ახალი სამეცნიერო-სალიტერატურო კრებული

## გვირგვინი

შემდეგი შინაარსით:

1. შ. რუსთველი, გრ. რობაქიძისა.
2. სუმერული და ქართული, მიხ. წერეთლისა.
3. ოიდიპოს მეფე, ბერძნ. ნათარგმნი პ. ქავთარაძისა.
4. მეფე მგოსანი, სანდრო შანშიაშვილისა.
5. ღამე, ს. ფირცხალავასი.
6. გლოვის ზარი, მისივე.

ფასი ერთი მან.

გამოცდილი მოახგარიშე

## დაეძებს

მოანგარიშის ადგილს რომელიმე სავაჭრო დაწესებულებაში.

[illegible]კითხეთ: ვორონცოვის ქუჩაზე, მოვაჭრე მაქსიმე მანაგაძესთან.

## იყიდება

ქუთაისში „პოდგორნი“ ქუჩაზე რიონის პირისკენ ორსართულიანი ქვიტკირის სახლი სარდაფით.

მისამართი: „პოდგორნი“ ქუჩაზე ხაინკალი (слесарь) ერმილე ქორიძე.

ქუთაისი.

პაიებზე დამყარებული ამხანაგობა

კირაკოზოვი და ზ. გ. ოგანოვი.

გაზაფხულისა

და ზაფხულის სეზონი

ტრიკო, კასტორი, დიოგონალი, ჩესუნჩა, რაგოჟი, ტილო, პარუსინა, ბატისტა, კისეია, შემიზი, ჩითი.

პოპლინი, მესალინი, ქიფრონი, ლიბერტი, ლევანტინი, სტოლსაფრები, „პოკრივალო“, პირსახოცი, ხელსახოცები, მადაპალამი, ლანკორტი.

## გამოცდილი

**მასწავლებელი,** დაეძებს გაკვეთილებს (დაბალი კლასების მოწაფეებს, აგრეთვე წერა-კითხვის უცოდინართ). ძლიერ შეღავათიან პირობებში. მისამართი: Орпирская ул. Д. Шаламберидзе

## ტელეფონის ××× სადგურიდან.

ვისაც ტელეფონის მოწყობა სურს, განცხადება დროით შემოიტანოს, ვინაიდან მალე რემონტი უნდა დავიწყოთ და საშვალება არ გვექნება ტელეფონები დავდგათ.

**ექიმი** **ვ. ი. ფეშინი** ქირურგიული და საშარდე სნეულება ყოველდღე 12—2 და 4—6 საათამდი. გოშპიტლის ქ. გვახარიას სახლი.

**ექიმი ა. მ. ასათიანი** ღებულობს ავათმყოფებს (**შინაგან ქალთა სნეულებს და ბავშებს**) ახალ ბინაზე. ქარვასლის ქ. კლასიკური გიმნაზიის პირდაპირ. რადიუმის გვერდით ჩილინგაროვის სახლი.

კბილის **ექიმი** **ანა ბუტულოვის ასული** გადავიდა ახალ ბინაზე: პუშკინის ქუჩა სახლი ჯანელიძისა ქალაქის საბჭოს პირდაპირ და წმ. ნინოს დედათა სასწავლებლის გვერდით

შინაგან სნეულებათა

**ექიმი** **ნიკ. ივ. შენგელია.** მიღება: დილით 9—11 ს. საღ. 5—7. გენერლის (გოგებაშვილის) ქუჩა, საკ. სახლი.

**ექიმი** **კ. თ. ტყეშელაშვილი.** ათი აპრილიდან ღებულობს ავათმყოფებს (**შინაგანი, ვენერიული, კანის**) ახალ ბინაზე: ვიტუშინსკის სახლი, აფთიაქის უკან. პუშკინის ქუჩიდან ტელეგრაფის შესახვევში.

**ექიმი ი. ჩარექოვი** ხუთ ივნისიდან მიიღებს **კანის და ვენერიული ავათმყოფებს ახალ ბინაზე.** გაგარინის ქუჩა, პოლიციის გვერდით, ფირალოვის სახლში.

**ექიმი** **ვ. ა. ნემსაძე** ღებულობს შინაგან სნეულებიან ავათმყოფებს ნაშვადღევის 3—6 საათ. თფილისის ქუჩა, ფირალოვისსახლი.


## დღიური.

სოფიაში ოფიციალურათ უარყვეს ის ცნობა, ვითომც ბულგარლები მხეცობას ჩადიოდენ.

— ვენიზელოსი და პაშიჩი ამ მოკლე ხანში ერთმანეთს შეხვდებიან.

— ცნობაა—ოსმალოს ცხენოსანთა რაზმმა როდოსტო უომრათ დაიჭირაო,

— რუმინიიდან ბულგართა ელჩი სოფიას წავიდა.

— ბერლინში ხმებია—რო გარეშე საქმეთა მინისტრს საზონოვს გამოეცხადებიოს ოსმალეთისათვის თუ ამის ჯარები ენოსსა და მიდიას გადაცდებიან, რუსეთი ჯარს შეიყვანს სომხეთში.

— ბულგარელმა ადმირალმა კუნტუროსმა კავალა აიღო.

— სოფიადან ცნობაა დრამიდან გადმოსული ბერძნების ჯარმა ელევთერ'ში ბულგარლები და მამადიანები დახოცესო.

— პარიზში შრომის საერთო ბირჟამ, ჯარისკაცთა სამსახურის ვადის გაგძელების საპროტესტოთ. საყოველთაო გაფიცვის გამოცხადება უარყო.

— ბერძნებმა სერესი, დრამა და დედე-აგაჩი აიღეს.

— ხმაა—სოფიაში დიდი არეულობააო

— გერმანიამ ჩინეთს ახალი მოთხოვნილება წარუდგინა.

— ბულგარეთის მთავრობამ მისწერა თავის ჯარს—რუმინიის ჯარს წინაღმდეგობა არ გაუწიოთო.

— სერბიამ და საბერძნეთმა უარყვეს რუსეთის შუამდგომლობა.

— სახელმწიფო ბანკმა კრედიტი მოუსპო კაველბერგის ბანკს, რომელიც პარიჟის ბირჟაზე, რუსეთის ფასიანი ქაღალდების დაცემას ხელს უწყობდა.

— ესად-ფაშას ხანგრძლივი ბაასი ქონდა ბერხტჰოლდთან.

— არხანგელსკის გუბერნიაში 12500 დესეტინა ტყე იწვის.

— ბესარაბიის გუბერნიის ოთხ მაზრაში სეტყვამ 10007 დესეტინა ნათესი გააფუჭა. ზარალი 234469 მანეთს უდრის.

— ინგლისის სათემო პალატაში, როდესაც საარჩევნო უფლების შესახებ კანონპროექტს იხილავდენ, ვიღამაც წამოიძახა—სამართლიანობა ქალთა მიმართო!—და რევოლვერი გაისროლა; მეორემ ბროშურები გადმოყარა.

## ქართული გაზეთის საქმე.

3.

გაზეთის მდგომარეობა „გუშინ“ და „დღეს“.

მე-XIX საუკუნის დასაწყისში ჩვენ გაგვაკოტრეს და სავალალოც ის იყო, რომ ამ გაკოტრებას თვითონ ჩვენ შევუწყვეთ ხელი. იმდენათ დავეცით სულიერათ და ზნეობრივათ, რომ მარტივსა და სადამოვლენასაც ვეღარ ვაფასებდით. გვეგონა და ვფიქრობდით, რომ შაქარ-ლამას გვაჭმევდენ, ჯიბეებს ოქროებში ჩაგვიყრიდენ, ოსმალებიდან და სპარსელებიდან დაგვიხსნიდენ, გარეკავდენ ლეკებს, სხვა მთიულებს, ქურდბაცაცებს, ხოლო მათ უფლებას ჩვენ მოგვანიჭებდენ, გათავისუფლებულ მამულს ხელში ჩაგვიტოვებდენ, მართვა-გამგეობას მოგვანდომდენ, და ზინზილ-ჯინჯილებითაც გამოგვაწყობდენ.

დიახ, თვითონ ჩვენ გავკოტრდით, გავთახსირდით და როცა გავიდა ხანი, გარეკეს მთიულები და ლეკები, დათრგუნეს ომარ ხანები და ფაშები, როცა შემობრძანდა და ფეხი მოიდგა ლაზარევმა და კნორიგმა, გამრავლდა რუსის მხედრობა და ძალა რუსეთის მთავრობისა, აღმოჩნდა, რომ შაქარ-ლამა თავგის შაქრით ყოფილა შეზავებული. დავინახეთ, რომ განთავისუფლებული მამულიც დაიკავეს და მთელი საქმე რუსეთიდან, მოწვეულ მოხელეებს დაულოცეს.

ამნაირათ, აქამდი თუ სპარსელები იკავებდენ ჩვენს მამულს, დღეს ეს მამული დაიკავა სხვამ. განსხვავება მხოლოდ ის იყო რომ სპარსელები ერთხელ შემოსევით კმაყოფილდებოდენ, დამორჩილებულ ქვეყანას ხარკს დაადებდენ და შინ წავიდოდენ. ახლა კი გარეშე ძალა აბარგებას და მამულის გათავისუფლებას აღარ ფიქრობდა, ხარკსაც იღებდა და მიწა-ადგილსაც. ქართველობა გაირიყა. შეიცვალა ძველთაგანვე შემოღებული დამკვიდრებული წესი მართლმსაჯულებისა: ეროვნული შკოლები დაიხურა, სამართველოები გაუქმდა, შეამცირეს ეპარქიები, მოისპო ეგზარხოსობა და ეკლესიის დამოუკიდებლობა ზღაპრათ გადაიქცა. ქართველობა წელში გატყდა, ნამუსი დაიკარგა, გლეხები რკინის კანონში იქნა ჩამწყდეული, მემამულე-ბატონიც ქედმოგრეხილი, მისი დარბაისლობა სასაცილოთ გამხდარი, ზნე-ჩვეულება აბუჩათ აგდებული. სისტემატიური შევიწროება ქართველი ხალხისა აშკარა ხდებოდა ყველასთვის, ვინ არ დაინახავდა, რომ ეკლესიის მამულს აშკარად ითვისებდენ, მონასტრების შემოქმედებას საზღვარს უდებდენ, გლეხებს ეროვნულ თამასუქზე უარს ეუბნებოდენ, მიწის მფლობელობაში იჟვი შექონდათ და ათასწლობით შეუბღალველი საკუთრება საჩივლელი და სადავიდარაბო გახდა. აუარებელი მიწა-ადგილი გადადიოდა ხაზინის ხელში და ზედ ასახლებდა რუს-საციმბირო ავაზაკებს სისხლის სამართალში გამტყუნებულ პირებს ან ღარიბ-ღატაკს სალდათებს, ყაძახრუსებს.

დგება სასოწარკვეთილების დრო. გაკოტრებულ ქართველობას კარგათ შეეძლო თავისი თავის დანახვა, დანახვა საშინელი ისტორიული შეცთომების. შელახული მდგომარეობა, შერყეული ბედნიერება, გაცრუებული იმედები ზეზე ამოტივტივდენ. გაიღვიძა ნამუსმა, შეწუხდა სინიდისი, დაიბადა გრძნობა სირცხვილისა და შთამომავლობის წინაშე სიწითლემ ერთიანათ აიტანა ქართველი ინტელიგენტი. ასეთ პირობებში დაიბადა ჩვენში რომანტიზმი.

ერთხელ წყეული დრო, უძლურების და გათახსირების ჟამა დღეს სანატრელათ გარდაიქცა: თითქოს სამართლიანობას ვეძებდით და მოვიპოვეთ უუსაშინლესი უსამართლობა, წარმოუდგენელი უბედურება. ამ გამოაშკარავებულ და უბედურების ხანაში ჩვენი გაზეთიც იცვლის ფერს, მას

ლინება ქართველობის იდეის და სინიდისის მატარებელი—სოლომონ დოდაშვილი და იგი წერას იწყებს არა რუბლზე, მაჩაბელოვზე, უეზდზე და კარალევას ცერემონიაზე, არამედ 1832 წლის „თფილისის უწყება“-ში იწყებენ ადგილობრივ საკითხებზედაც საუბარს, ათავსებენ თავის ფურცლებზე ლექსებს, პოემებს, ამბავს, კრიტიკას. ამიერიდან—ამბობს არჩილ ჯორჯაძე—„ქართული აზრი ისევ თავისთავს უბრუნდება, „კარალევას და კაროლის“ ცერემონიები მას აღარ აინტერესებს. იგი იგონებს წარსულს, რათა უკეთ შეიგნოს, რას წარმოადგენს აწმყოში“*) (კურსივი ჩვენია) ამნაირათ ქართველობის აზრი შეიცვალა. გართულებულმა მდგომარეობამ შეარყია ქართველი ხალხის ოპტიმიზმი და დამცირებულ საშინელების წინ შერცხვენილნი—ქართველი ინტელიგენტები ცდილობენ საქმის გამობრუნებას. მაგრამ, გაორპირებული, თავის თავის უარყოფით და სიკოტრით დამყარებულ სინამდვილეს განა შესცვლის. ერის ერთეული, თუნდ ეს ერთეული იყოს მძლეთა მძლე ძალა და უდრეკი პიროვნება? დიახ, ვერა, მაგრამ ამ რომანტიზმს ვახტანგ და გრიგოლ ორბელიანისას, რომანტიზმს სოლომონ დოდაშვილისას ინტელექტუალურ ცხოვრებისათვის მაინც დიდი მნიშვნელობა ქონდა, ქონდა იმიტომ, რომ ამიერიდან იწყება თავის თავზე დაფიქრებით ლაპარაკი, მდგომარეობის უფრო სინამდვილით შესწავლა.

რეალურმა პესიმიზმმა ჩვენი გაზეთის მდგომარეობა სრულიად ახალ პირობებში ჩააყენა, სხვა ენით აალაპარაკა იგი, გაუჩინა ახალი საქმე და ახალი ასპარეზი.

თ. ღლონტი.

*) თხზულებანი არჩ. ჯორჯაძისა, ტ. II გვ. 155.

# ახალი ამბავი

ქალაქის ახალი საავათმყოფოსათვის საჭირო სანოვაგის ძლევა ვაჭარმა ლუკა კიკვაძემ იჯარით აიღო:

✦ კავკასიის რკინის გზის სამართველომ ქუთაისის ქალაქის თვითმართველობას აცნობა: ქალაქის მოურავმა წარმოადგინა ქუთაისის მცხოვრებთა თხოვნა, რომ ტყიბულის ლიანდაგის მე 25-ე ვერზე სამგზავრო მატარებელი ჩერდებოდეს. გთხოვთ გამოგზავნოთ ხსენებული პლატფორმის პლანი ხუთ ეზგემპლიარათ და მთხოვნელთა ვინაობის ხელის მოწერაცაა საჭიროო.

✦ ქუთაისის ბუნების მეტყველების მოყვარულთა საზოგადოებას ქალაქის გამგეობამ დაუთმო ადგილი ქალაქის ქიმიური ლაბარატორიის სადგომში საზოგადოების მუზეუმის მოსაწყობათ.

✦ ქალაქის ახალ საავათმყოფოში ამჟამათ 30 მწოლიარე ავათმყოფია.

✦ გუბერნატორს წარედგინა დასამტკიცებლათ საბჭოს მიერ შემუშავებული ნორმალური ხელწერილის პროექტი, რომელიც უნდა დადებული იქნას იმ პირებთან, ვინც მოისურვებს ქუთაისში საკუთარი ელექტრონული სქდგურის გამართვას.

✦ ინჟინერ კალგინს, რომელსაც ქალაქის გამგეობამ წინადადება მისცა, ქალაქის ინჟინრობა ეკისრა, ამ წინადადებაზე უარი შემოუთვლია.

✦ ქალაქის ტეხნიკოსათ მოიწვიეს ტეხნიკი აბესაძე.

✦ ქალაქის მესამე სასწავლებლის მასწავლებელ ქალს ალისა ქუთათელაძის ასულს მიეცა ერთდროულ დახმარებათ 60 მანეთი.

✦ დიდი სიცხეები დაიჭირა. მეტი ყურადღება ქალაქის გასუფთავებას. აუარებელი მაწანწალა ძაღლებია ქალაქის ქუჩებში.

ღამის მეთერთმეტე საათიდან ქალაქის ბაღის კარები იკეტება, სწორეთ მაშინ, როცა დღის სიცხისაგან შეწუხებულ მცხოვრებნი გრილი ჰაერით უნდა სარგებლობდენ, ბაღს კეტვენ.

✦ შავი ქვის მრეწველთა საბჭომ ჭიათურის ელექტრონის სადგურის გამგეთ ინჯინერელექტრონ ტეხნიკი გიორგი ხუნდაძე დანიშნა.

✦ როგორც ქუთაისის ქალთა ეპარქიალური სასწავლებლის მთავრობის განცხადებიდან სჩანს, წელს ხსენებული სასწავლებლის არც ერთ კლასში ადგილი არა ყოფილა, გარდა მოსამზადებელი კლასებისა.

✦ კნ. პუპი ლევანის ასულს წერეთლისას ეთნოგრაფიული საზოგადოებისთვის ს. სვერის ციხის ნანგრევებში ნახული მთელი ყუმბარა და რაღაც ყვითელი ლითონის ნატეხი გადაუცია.

✦ ჭიათურის შავი-ქვის მრეწ. საბჭომ ინჯინრებს ი ბურჯანაძესა და ა. კობახიძეს ჭიათურის სამთო შკოლასთან სახელოსნოს მოწყობა მიანდო.

✦ ქუთაისის ოლქის სასამართლომ ი. ტორაძის, ბ. ბაბუნეიშვილის, კ, ნარეშელაშვილის, კ. მარდანეიშვილისა და ე. ყუფარაძის, საქმე გაარჩია. მათ აბრალებდენ სოფ. მესხეთის მცხოვრებ იოსებ ნარეშელაშვილს მოკვლას. ბრალებული კ. ნარეშელაშვილი ბიძაშვილია მოკლულის. მან განუცხადა, რომ ჩემი ბიძაშვილი მოვკალი, რადგან ჩემ ცოლთან ქონდა საქმეო. სასამართლომ ნარეშელაშვილს 12 წლის, მარდანეიშვილსა და ყუფარაძეს უვადო და ბაბუნაშვილსაც 8 წლის კატორგა გადაუწყვიტა. ტორაძე გაამართლეს.

✦ სიცხეების გამო ოლქის სასამართლოს სისხლის სამართლისა და სამოქალაქო განყოფილებანი საქმეებს ამ თვის განმავლობაში შემდეგ დღეებში გაარჩევენ: სამოქალაქო განყოფილება—12, 19, 26 ივლისს და სისხლის სამართლის განყოფილება—10, 17 ივლისს.

✦ წელს ქუთაისის სამეურნეო სასწავლებელი 12 კაცმა გაათავა. ესენი არიან: დ. ანჯაფარიძე, ბ. გოროზია, დ. კანდელაკი, თ. კალანდაძე, ვ. კაკახაძე, ი. კვინტრაძე. ე. ნაჭყებია, კ. ნიკოლაიშვილი, ა. სარჭველაძე, ო. სიხარულიძე, ვ. ხავთასი და ი. ჩხეიძე.

✦ სოფ. შუქრუთის საზოგადოებას (ზემო იმერეთშია) ყრილობაზე დაუდგენია დახურული იქნეს ამ ჟამათ ამ სოფელში არსებული ღვინის სასმელი დუქნები და ეთხოვოს შავიქვის საბჭოს ეს დადგენილება დაამტკიცებიოს სადაც ჯერს არს.

✦ შავი ქვის მრეწველთა საბჭომ ცნობა მიიღო, რომ სახელმწიფო საბჭომ 1 ივლისის სხდომაზე დაადასტურა ჭიათურიდან გაზიდული შავი ქვის გადასახადს ნახევარი კაპიკი მოემატოს შავი ქვის საბჭოს სასარგებლოთ ამნაირათ 1914 წლის იანვრიდან საბჭოს სასარგებლოთ გადაიდება ყოველ გაზიდულ ფუთ ქვაზე ერთი კაპიკი და მეოთხედი.

✦ შავი ქვის მრეწველთა საბჭო დეპუტაციას უგზავნის მეფის მოადგილის თანამდებობის აღმასრულებელ შატილოვთან, რათა მოითხოვონ ნებართვა—კვირაში ერთხელ მაინც ექნეთ ჭიათურის მრეწველებს ნება ნარეცხი წყლის გამოშვებისა. უამისოთ შავი ქვის წარმოების საქმე ფერხდება, რადგამ საზღვარ გარეთიდან უმეტესათ გარეცხილ ქვას თხოულობენ.

✦ სოფელი ბოსლევი (ზემო იმერეთშია) აშენებს აბანოს. უსახსრობისა გამო სოფელმა შავი ქვის საბჭოს მიმართა შემწეობისთვის. საბჭომ თავის ინჟინრებს დაავალა შენობის ხარჯთაღრიცხვის შედგენა.

✦ პეტერბურგიდან „ბათომის დღეს“ ატყობინებენ: სარწმუნო წყაროებიდან გავიგეთ, რომ პორუჩიკს მღებრიშვილს, რომელსაც გამათავისუფლებელ მოძრაობაში მონაწილეობის გამო სამუდამო გადასახლება აქვს გადაწყვეტილი სასჯელს სრულიან აპატიებენო.

✦ ბათომის პორტიდან 24 ივნისიდან 1 ივლისამდი. 600 ფუთი სიმიდი და 5735 ფუთი მატყლი გაუტანიათ; ხილი 11670 ფუთი. სულ გატანილი საქონლის რაოდენობა 157572 ფუთამდია, შემოტანილის—253815 ფუთს აღემატება.

✦ „ბათომში ქართული დრამატიული საზოგადოების თავჯდომარეთ ი ს. მესხი აურჩევიათ; თავჯდომარის—ამხანაგათ—ს. გ. მდივანი, ხაზინადრათ პ. გამრეკელიძე, ხოლო მდივნათ კ. გოგოლაძე.

✦ თფილისის გაზეთების ცნობით ქართში წელს ხილის მოსავალი ცუდია.

✦ შემოდგომაზე კავკასიაში ჩამოვლენ გერმანელ სოფლის მეურნეთა ჯგუფი. ისინი დაათვალიერებენ სასოფლო სამეურნეო დაწესებულებებს.

✖ 16—18 აგვისტოს ქუთაისში მოხდება მომხმარებელ საზოგადოებათა წარმომადგენლების კრება.

# მოულოდნელი გაკვეთილი.

ბალკანეთის კავშირი აღესრულა. სლავიანთა გაერთიანების პრინციპი იმსხვრევა და გუშინდელი მოკავშირენი დღეს სისხლიდან იწრიტებიან, ერთმანეთზე ხმალი ამართეს. გაქრა, გაქარწყლდა ის სიმპატია, რომელსაც „დაჩაგრულ ძოძმეთა“ განმათავისუფლებელ ბულგარეთისადმი უცხო სახელმწიფოთა წარმომადგენელნი გრძნობდენ და, ასე გასინჯეთ, რუსეთის ოფიციალური წყაროებიც კი გულცივათ უცქერენ ამჟამათ ბულგარეთის დამარცხებას და რუსეთის დიპლომატია ჯერჯერობით ყოველგვარი აქტივობის გამოჩენას ერიდება სამარი მოქმედების შესაჩერებლათ.

„ურჩი მიუშვი ნებასა, შეეყრება სნებასაო“ —აი, რა ახასიათებს დღეს გარეშე სახელმწიფოთა ბულგარეთთან დამოკიდებულებას. დიდი თვითნებობა გამოიჩინა ბულგარეთმა, დიდი ორჭოფობა და აჰა შედეგიც: მის იარაღის ჩხარუნს და გადაჭარბებულ ამპარტავნულ ლტოლვას სერბია-საბერძნეთმა მომაკვდინებლათ შეაკვეცა ფრთები. ამჟამათ ბულგარეთის არმია მაკედონიის საზღვრებიდან თითქმის სრულიად განდევნილია, მის ზარბაზან-ტყვიას მოუსპობელთა დიდი ნაწილი მოწინააღმდეგეთა ხელშია. ბელგრადსა და ათინაში ბულგარელ ტყვე [illegible] ჯარისკაცების რიცხვი ათასობით ითვლება [illegible] მეფე ფერდინანდი, რომელიც აქამდე მინისტრის გაგზავნასაც არ აპირობდა რუსეთს ახლა, შეიძლება, თვით გაეშუროს პეტერბურგს თავქუდმოგლეჯილი, მაგრამ „გვიანღაა თითზე კბენანი“. ბულგარეთის „რკინის არმიამ“ სამარცხვინო დღეები იწვნია. ოსმალეთთან გამარჯვებით გაბრუებული, ახლა სირცხვილით მოსილია, სერბია-საბერძნეთის მიერ შებრუნებული კეხი მწვავე სიმძიმით თავს დაატყდა და გუშინდელი ბძანებითი კილო სასომიხდილ ამოკვნესათ გადაიქცა.

ბრძოლის ზარალი—დაკარგულ მეომართა და იარაღის რაოდენობა რომ არ გავილოთ მხედველობაში, სხვაგვარათაც დიდი დანაკლისი მოელის ბულგარეთს. სერბია და საბერძნეთი იმაზე მეტს მოითხოვენ ახლა, ვიდრონ ომამდი ითხოვდენ და მერე კიდევ ბულგარეთის ტერიტორიას ახალი მოცილე გაუჩნდა: რუმინიის სახით, რომელიც, თუ ეს ომი არა, ის თავისთვის მშვიდობიან პოლიტიკას აწარმოებდა; თავი წამოყო ოსმალეთმაც რომელიც, რასაკვირელია, სამხედრო კონტრიბუციისგან აუცილებლათ გაითავისუფლებს თავს და თუ საქმე სხვაგვარათ შეტრიალდა, შეიძლება, ახლახან დაკარგული ანდრიანოპოლის ვილაეტის ზოგიერთ ადგილებსაც წაუწიოს ხელი. ამგვარათ ფუჭ ოცნებათვე დარჩა ბულგარეთის დიპლომატთა გიპოტეზები დიდი, ძლიერი ბულგარეთის იმპერიის შექმნისა. ჯერჯობით ვერც ვერაფერი შექმნეს და გაბატონების მსურველებმა კიდეც ბევრი დაკარგეს, მაგრამ ყველაზე უფრო მომაკვდინებელი მისთვის გარეშე სახელმწიფოთა თვალში სიმპატიის დაკარგვაა. შეიძლება, ბულგართა ინტერესები მაკედონიაში უფრო დიდი იყოს, ვიდრე სერბიისა ანუ საბერძნეთისა, მაგრამ, ცხადია, მაკედონიის საკითხთან დამოკიდებულებაში სერბიის მოქმედება უფრო სიმპატიურია, რადგან სერბია მოითხოვდა იმას, რაც მის მიერ იყო სისხლით მოპოებული და ამასთან იგი წინააღმდეგი არ იქნებოდა—მაკედონიას ავტონომია მიენიჭებოდა, თუ კი საქმის გადაწყვეტა ომს მოითხოვდა. ამგვარათ სერბია უფრო

# მგზავრის შთაბეჭდილებანი.

## წერილები გერმანიიდან.

(გაგძელება იხილე „იმერეთი“ № 86).

„და ვაი მას ვისაც სამშობლო არა აქვს“. ფრიდრიხ ნიცშე.

შენ მწერდი: ქართველებს საერთოდ ევროპაში თუ იცნობენო? საფრანგეთში მყოფ ქართველებისგან გამიგონია, რომ ფრანგები, შვეიცარიელები და იტალიელები გვიცნობენ და გერმანიაში კი, უნდა გითხრა, ძლიერ ნაკლებათ. ხალხიდან როცა ვისმე უკითხავს ჩემთვის თუ რა ნაციის ვიყავი და მიპასუხებია—„ქართველი“-მეთქი—ყოველთვის უშველებელი კომენტარიები დამჭირებია ნათქვამის განსამარტავათ.

მიუხედავათ იმისა, რომ იქაური მუშა ხშირათ ჩვენს „ინტელიგენტსაც გადააჭარბებს გეოგრაფიის ცოდნაში.

რაღა მუშები ხშირათ ინტელიგენტები, სტუდენტებიც ვერ იგებდენ თუ ბროკაუზის ლექსიკონზე ან მიუნხერის შრომაზე არ მივუთითებდი.

ცოტათი ახირებულ სახელს გვიწოდებენ ჩვენ ევროპიელები გერმანელები—გეორგიენ. ფრანგები—ჟორჟიან.

თუმც ეს ორივე ბერძნულ გეორგოს—(მიწის მუშა)-იდან წარმოსდგება, მაგრამ განა მიწის მუშაობას ჩვენს მეტი არავინ მისდევდა? ჩემის აზრით ეს ისეთივე გაუგებრობითაა დარქმეული, როგორც რუსებისგან „გრუზინ“ ან „ნემეცი“, როგორც უკანასკნელნი გერმანელს უწოდებენ.

დიახ, გერმანელები ჩვენ ნაკლებათ გვიცნობენ.

ეს ერთი მხრით ჩვენი ბრალიცაა. სხვა ერები მუდამ იმის ცდაში არიან, რომ განათლებულ ხალხებს თავი გააცნონ.

ამ მიზნით თარგმნიან ისინი თავის ლიტერატურიდან საუკეთესო ნაწარმოებთ და ავრცელებენ.

მაგალითად გერმანიაში,—იაპონელების მთელი გამომცემელი საზოგადოება ყოფილა, რომელიც იაპონიურიდან გერმანულათ თარგმნის და სცემს იაპონელების საუკეთესო მწერლებს.

ფრანგები და იტალიელები რომ ჩვენ მეტათ გვიცნობენ, რა გასაკვირალია.

ჯერ მაშინ, როცა ჩვენი თავი ჩვენ თვით „გვეკუთნოდა“, ჩვენს მეფეებს დიპლომატიური კავშირი ქონდათ რომის პაპსა და საფრანგეთის მეფეებთან.

რის შედეგიც იყო ის გავლენა, რომელიც ცხადათ დაეტყო ჩვენს ლიტერატურას მისი განვითარების აგრეწოდებული „ვერცხლის ეპოქაში“, როცა საბასულხან ორბელიანისა და სხვათა საშვალებით მთელი ნაკადი ევროპის კულტურისა შეიჭრა ჩვენში--დასავლეთიდან.

უკანასკნელი ხანებისთვის საკმაოა განსვენებული თამარაშვილის ღვაწლი მოვიგონოთ.

ბოლოს ჩვენი ძვირფას'ი მასწავლებლის არჩილ ჯორჯაძის ხელმძღვანელობით გამოსული ჟურნალი „საქართველო“ პარიზში.

გერმანიას კი ერთხელაც არ ქონია არავითარი დამოკიდებულება საქართველოსთან.

ქართველთა და გერმანელთა ერთიმეორესთან გასაცნობათ, თუმც დიდი შრომა მიუძღვის ცნობილ გერმანელ მწერალს არტურ ლაისტს, რომელსაც სხვათა შორის გადათარგმნილი აქვს გერმანულათ ჩვენი სხივმოსილი შოთას პოემაც,—მაგრამ ნათარგმნი წიგნი ერთ გამოცემათ რას გამოჩნდება იმ ზღვა ლიტერატურაში, რომელსაც დღეს გერმანიის მწერლობა წარმოადგენს.

აბა, წარმოიდგინე, რა უნდა იყოს იგი, როცა მარტო ქალაქ ლეიპციგში ყოველწლიურათ 36 ათასი გამოცემა გამოდის.

არტურ ლაისტის მიერ ნათარგმნ „ვეფხ. ტყ.“-ზე სხვა დროს მოგელაპარაკები.

ჰო, იაპონელებზე გეუბნებოდი.

ზემოხსენებულ გამომცემელ საზოგადოებას უთარგმნია გერმანულათ არამც თუ უმთავრესი ლიტერატურული კორიფეები, არამედ თვით ხალხური ზღაპრებიც კი.

ერთჯელ გერმანელ სტუდენტთა ერთ წრეში მოვხვდი, სადაც სხვათა შორის ორიოდე მსახიობი და სამიოდე ახალგაზდა მწერალიც ერია. იმ საზოგადოებაში ბაასი ჩამოეგდოთ ერთ პატარა წიგნზე, რომელიც იქვე მათ წინ გაშლილ მაგიდაზე იდვა.

მივუახლოვდი. ხელში ავიღე და ამოჩნდა იაპონური ხალხური ზღაპრების პაწია კრებული.

გადავფურცლე და სწორეთ ის ზღაპარი მომხვდა ხელში, რომელსაც იქ იხსენიებდენ, როგორც ნიმუშს აღმოსავლეთურ ზღაპრებისას.

მე იაპონელთა შემოქმედებას დიდათ გაცნობილი არ ვიყავ, მაგრამ შემთხვევა მქონია მათი ლიტერატურიდან, რამდენიმე ნიჭიერათ დაწერილი მოთხრობა და 10-ოდე ლექსიც წამეკითხა—გერმანულათ. სწორეთ გითხრა მათ არ კლებია ის ნიშანწყალი, რომელიც საერთოდ აღმოსავლეთის პოეზიის დამახასიათებელია.

მაგრამ როცა ის პაწია ზღაპარი ბოლომდი გადავიკითხე, მართალი გითხრა არაფერს არ წარმოადგენდა განსაკუთრებულს.

ჩვენში მაგისთანა ზღაპარს, გლეხის პატარა ბიჭუნაც კი არ დაუგდებს ყურს.

იმ წრეში მე ჩემი მეგობარი, გერმანელი სტუდენტების წყალობით მიცნობდენ, რომელსაც წაკითხული ქონდა „ვეფხის ტყაოსანი“ გერმანულათ—და ახლაც ნატრობს „შოთას რომანტიულ სამშობლოს“ ნახვას...

ასე უწოდებს იგი საქართველოს.

ჰო, იმ წრეში ბევრჯერ მქონია შემთხვევა მებაასა ჩვენს შოთაზე, ილიააკაკიზე, და ახლაც წინადადება მივეცი—ერთს უბრალო ზღაპარს მეც მოგიყვებით, როგორც ნიმუშს ქართველი ხალხის შემოქმედებისას-მეთქი.

დიდი სიამოვნებით, დიდი სიამოვნებით. ქართველებიც ხომ ცისკრის ქვეყნიდანაა!

სხვათა შორის გერმანელთ მშვენიერი ტერმინი აქვთ: აღმოსავლეთს უწოდებენ—ცისკრის ქვეყანას და დასავლეთს კი მწუხრისას—Morgenland და Abendlund

— მოყევით მოყევით, ჩვენ კი შევადარებთ იაპონელებისა და ქართველების შემოქმედებას! - გაისმა ყოველი მხრიდან.

მეც მოვუყევი ჩვენში ყველასგან ცნობილი „ნაცარქექიას“ არაკი.

და გამიკვირდა ისეთი სიცილი გამოიწვია ჩვენმა ნაცარქექიამ.

აი, რა ჭკუამახვილი ერი ყოფილა ამის შემქნელი!—ამბობდა ერთი.

— მე ვფიქრობ—ეს არაკი ხალხს რკინის საუკუნის დასაწყისში შაუთხზავს, როცა პირველყოფილ გაუთლელ ფიზიკურ, ძალას ხერხი, ტეხნიკა დაუპირდაპირდა,—სთქვა მოსემ.

საუბედუროთ ნაცარქექიას სახელი ერთის სიტყვით ვერ გადავთარგმნე. სასაცილო იყო გერმანელები რომ იმეორებდენ „ნაცარკეკი- ნაცარკეკი“.

ბოლოს სხვა ჩვენ მწერლებზეც გადავედით. მაგრამ როცა ვაჟას „გველის მჭამელის“ სიუჟეტი მოვყევი, ერთმა ახალგაზდა მწერალთაგანმა წინადადება მომცა, მომავალ ზაფხულში ეს პოემა ერთად გვეთარგმნა გერმანულათ.

სწორეთ გითხრა, თუ გერმანელმა ერმა ფაუსტის უკვდავი არაკი შექმნა, ქართველი ერი, როგორც „გველის მჭამელის“ ავტორი დიდ შემოქმედებითს პოტენციას იჩენს—მითხრა ჩემმა მოსაუბრემ.

რამდენიმე წამით გერმანელებზე ლაპარაკს შევწყვეტ. მინდა შენი ყურადღება ჩემი მგზავრობის პირველ ხანს დაუბრუნო. აბა, მოიგონე ის ახალგაზდა, რომელმაც რუსის ვაგონში თავი ჯერ ყირიმელ სომხათ გამაცნო და ბოლოს კი ებრაელი ამოჩნდა.

შენც ალბათ ჩემსავით გაგაკვირებდა მისი საქციელი, მაგრამ ევროპაში რომ ჩახვალ, შენც ბევჯერ გაიცნობ ისეთ ახალგაზდებს, რომელნიც თავისთავს უწოდებენ ხან რუსს, ხან იტალიელს, ხან სომეხს, მაგრამ როცა კი სახეზე კარგათ დააკვირდები; აშკარათ იცნობ სემიტურ სახეს. მერე და რათ სჭირდებათ ასეთი თვალთმაქცობაო—იტყვი შენ.

ყური მიგდე.

როგორც წინა წერილებშიც მოგწერე, ევროპას რომ მივდიოდი, აზრათ მქონდა ებრაელთა ახალგაზდობა გამეცნო.

ეს ერი მაინტერესებდა იმდენათ, რამდენათაც იგი ყველასგან დევნილი, შევიწროებულია. მაგრამ ათში ერთი ებრაელი სტუდენტი არ გამიცვნია, რომელიც თავის თავს ებრაელს უწოდებს—რომელსაც თავის ებრაელობის არ რცხვენოდეს. სწორეთ გითხრა, ამ მოვლენამ გული გამიტეხა ამ ერზე.

ამ მრავალტანჯულ ხალხს ვრცელი ისტორია აქვს, როგორც ყოველ კულტურულ ერს, რომელიც ოდესმე შობილა, განვითარებულა და კინაღამ გითხარი მომკვდარა.

როგორ თუ მომკვდარა.—მკითხავ შენ.

სხვისი არ ვიცი, და ჩემი დაკვირებით კი ამ ერს სრულებით თუ არა, სანახევროთ მაინც მკვდრათა ვსთვლი, რადგან მან დაკარგა სამი უმთავრესი ატრიბუტი ეროვნებისა: ენა, ტერიტორია და ზნეჩვეულება. დარჩენია მას ისტორია მრავალ საუკუნეთა, რომელიც მეტყველობს, თუ როგორი გასაოცარი სულიერი ენერგიით იბრძოდა იგი არსობობისთვის.

დარჩენია აგრეთვე ტიპი ებრაულისა სახის გამომეტყველება.

ებრაელობაზე იმიტომ მინდა რამდენიმე სტრიქონი გაგიზიარო,—რომ ამ ერის დღევანდელი ხვედრი მომავალი სურათია ყოველი ერის ცხოვრებისა, რომელიც ამა თუ იმ ისტორიულ პირობების წყალობით გადაგვარების გზას დადგომია.

არ ვიცი რათ, და ებრაელთა ახალგაზდობას რაღაც არაჩვეულებრივი ინტერესით ვაკვირდებოდი.

მისი ნაკლულევანება უნებურათ მიკბენდა ხოლმე გულზე—სრულიად უნებურათ.

ებრაულთა ენა დღეს მარტო ძველ წიგნებში ღა არსებობს. რაც შეეხება იმ ენას

...ღებოდა დამონებულ მოძმეთა გა-...ლების პრინციპს ვიდრე ბულგა-...რომლის სულის კვეთება ერთთა-...ერი ბულგარეთის იმპერიის შე-...რშემო ტრიალებდა და შოვინის-...ტენდენციებით იყო გაჟღენთილი. ...ერთი მიზეზი ბულგარეთისადმი ...ის დაკარგვისა. მეორე მიზეზი მის ...მოკავშირე სამეფოებზე მოულოდ-...თავდასხმაა, თავდასხმა, რომელსაც ...ყოველი მხრით მისთვისვე ასეთი ...ნებელი შედეგი. გუშინწინდელ-... გუშინ მონობას თავი დააღწია ...კი სხვათა დამონებას ლამობ-

...ამ...

...დ მოულოდნელი გაკვეთილი იწვ-

იმერი.

## ...იქრთა მორევში.

...ოდენი ადამიანს არაფერი სხვა ...რება არ სჭირდება; ოჯახში წყალს ...ერზე მეტი ხარჯი აქვს. წყალი ...ია, წყალით მზადება ყოველი სა-... წყალით სუფთავდება ყველაფერი. ... ყველაფერის მალამოა... მაგრამ წყალი შხამიცაა, საწამლავიც და ...ერს აბინძურებს, თუ სუფთა არაა, ... ასნეულებს, თუ წმინდა არაა. ... ვრცელდება აუარება გადამდები ...სხვა სენი.

...მერე პატრონი კი ყავს ამ წყალს ...ქალაქში? არა!

...ქის მამემა დიდი ყურადღება უნდა ...ონ მდინარე რიონს.

... წყალსადენით უიღბლო შევიქენით, ...ანალიზაციაზე ლაპარაკიც ზედმეტია. ...ამ ჩვენს ძიძასა და ლალას—რიონს ...ვუპატრონოთ.

...ონი შედარებით სუფთაა მოდის ქალა-..., ხოლო ქალაქის პირველ უბნიდა-...წყება მისი „შეზავება“ და ეს „შე-...ული“ წყალი ურიგდება მთელს ქა-...მით საზდოობს სამოცი ათასი სული. ... ეს ამდენი სული კი ღირსია მისი, ...მისმიერ არჩეულმა „პატრონებმა“ ...ზრუნველობა გაუწიონ მათ.

...თოთ დ დღისითაც წარმოუდგენელათ ...ღება რიონი პირველი უბნიდანვე... ...არ უნდა ხდებოდეს.

...ქის პატრონებმა მოქალაქენი უნდა ...რონ.,.

დ. მესხი.

## რუსეთი.

**წართმეულის „წართმევა“.** რიგაში შეიპყრეს და სამართალში აძლევენ ცენტრალური ციხის ზედამხედველს, რომელიც თურმე ტუსაღების წართმეულ და ყულაბებში შეგროვილ ფულს იპარავდა.

**ბრძოლა განათლების წინააღმდეგ.** საგლეხო საქმეთა კომისარმა კეიზერლინგმა გააუქმა მიტავის გუბერნიის სოფლის გლეხთა ყრილობების დადგენილება, რომლის ძალითაც გრობინსკის მაზრაში დასაარსებლათ განზრახულ სამეურნეო შკოლისათვის დახმარება უნდა გაეწია გლეხებს (ერთდროულათ 300 მან. და ყოველწლიურათ 1000 მან.)

**კანონ-პროექტი კავშირების შესახებ.** მაკლაკოვის დავალებით შინაგან საქმეთა სამინისტროში იმუშავებენ ახალ კანონპროექტს კავშირთა და საზოგადოების შესახებ. კანონს ისეთი სახით შეიმუშავებენ, რომ სათათფიროს უმრავლესობისათვის მისაღები იქნება.

**ორთმკვლელობა.** დვინსკის მახლობლათ მატარებელში მოწაფე პეტროვსკიმ და ივანოვმა ურთიერთშორის თანხმობით ერთმანეთს რევოლვერი ესროლეს. პეტროვსკი იქვე გადაიცვალა, ხოლო ივანოვი მძიმეთ დაჭრილი რკინის გზის საავათმყოფოში მიიყვანეს. ორივეს მშობლები შეძლებული ხალხია.

**უცხოელ მუშათა შევიწროება.** მინისტრთა საბჭომ, ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის წინადადება, სამთო სამრეწველოებში უცხოეთიდან მოსულ მუშების შევიწროების შესახე, მოიწონა.

## მშრომელი ხალხი.

ბალტიის ფლოტის მეზღვაურების გამართლების პროტესტის ნიშნათ რიგაში გაიფიცენ სირიუსის, რიჰარდ პოპეს, სალამადრას, ეზელის მანუფაქტურისა და სხვ, წვრილი წარმოების მუშები.

— მიტიჩაში, მოსკოვის მაზრ., გაიფიცა ვორონინის აგურის ქარხნის 900 მუშა.

— კრუგის მექანიკურ ქარხანაში, პეტერბურგში, გაფიცულები დაუბრუნდენ მუშაობას იმ პირობით, ყველა რომ გაფიცულები უნდა მიეღოთ უკანვე საქმიო შეუმოწმებლათ. ჯერჯერობით არ მიიღეს 12 ზეინკალი,.

— ლანგენზიპენისა და ამხ. ქარხნის ადმინისტრაციამ განცხადება გამოაკრა, რომ პირველ ივლისიდან იხსნება სახელოსნოები და ამასთანვე ნათქვამია განცხადებაში, ვითომ გაფიცვას ხელმძღვანელობდეს „ახალგაზდათა ჯგუფი“, რომელიც არას ზარალობს გაფიცვით.

გაფიცულები შეიკრიბენ და ფარული კენჭის ყრით გადაწყდა, რომ განაგრძონ გაფიცვა.

— პალის ქარხნის ადმინისტრაცია ძლიერ განცვიფრებულა თურმე, რომ მუშებსაც შესძლებიათ ასე მჭიდროთ შეკავშირება და სოლიდარობა. რას უზამ, იმეორებს ქარხნის ადმინისტრაცია, აქამდი, სითაც გვინდოდა, იქით მივაჩანჩალებდით, ახლა კი ამბობენ ადამიანური პირობების მოსაპოებლათ ვიბრძვითო.

— ლუკაშევიჩის სტამბის მუშების გაფიცვა გამარჯვებით დაბოლავდა: სტამბიდან დაითხოვა ადმინისტრაციამ შტრეიკბრეხერი და მუშებიც დაუბრუნდენ სტამბას.

—მოსკოვის ქალაქის უფროსმა აცნობ ორგანიზაციულ კომიტეტს, რომ კრებაა უფლება აქვთ მოწვეულბს მხოლოდ დაესწრენ კრებებს. სიეზდის კრებებზე კამათში მონაწილეობა და ცალკე სომისიებში მუშაობა კი სასტიკათ ეკრძალებათ.

ზიგელის ქარხნის, (პეტერბურგში,) მუშაობა დაადგინეს, ნუ დაიწყებენ მოლაპარაკებას ქარხნის ადმინისტრაციასთან, სანამ თვით ადმინისტრაცია არ მიმართავს ასეთი წინადადებით.

—პარვიაინენის მუშები უკვე დაუბრუნდენ მუშაობას. მორჩენილი ფული სამუშაოდან დათხოვილ 30 კაცს დაურიგეს.

— ბ. სმირონოვმა გაფიცვის მე-11 დღეზე დაიბარა გაფიცულთა რწმუნებულები და შემდეგი უთხრა: „9 საათის სამუშაო დღეს ვერ მოგცემთ. რადგან სხვა სახელოსნოებში 10 საათს მუშაობენ. თქვენ, მუშებმა თუ იცით სოლიდარობა, არც მე შემიძლია სხვა „ხაზეინები„ გადავიმტერო„.

## წლიურ ხელისმომწერთა საყურადღებოთ!

ვისაც გაზეთის ფასათ პირველი ხვედრის მეტი არ შემოუტანია, მოვაგონებთ—ამ ორ დღეში შემოიტანონ, წინააღმდეგ შემთხვევაში გაზეთის გზავნა მოესპობათ.

—ელერსის ცემენტის ქარხნის მუშები გაიფიცენ ეკონომიურ ნიადაგზე და 15-დ მოთხოვნილება წა რუდგინეს „ხაზეინს“. რამდენიმე უმნიშვნელო მოთხოვნილების დაკმაყოფილებას შეპირდა ბ. ელერსი და მუშებიც თავისი უორგანიზაციობის გამო დაუბრუნდენ სამუშაოს.

### ჩვენი სოფლის საზოგადოებათა წარმომადგენლებისა და სახალხო შკოლების მასწავლებლების საყურადღებოთ.

ქუთაისის საგუბერნიო ოფიციალურ გამოცემაში („Кутаисскія губернскія вѣдомосты“, № 26) მოთავსებულია შემდეგი საგულისხმო ცირკულიარული მოწერილება (11 ამ ივნისიდან № 3260) ქუთაისის გუბერნატორისა მაზრის უფროსების მიმართ: „სახალხო განათლების სამინისტრომ შესაძლოთ ცნო ქუთაისის გუბერნიის პირველ დაწყებით შკოლებს სხვადასხვა საჭიროების დასაკმაყოფილებლათ დაენიშნოს ხაზინიდან ყოველ წლიურათ ამა წლის პირველი იანვრიდან დახმარება—144 ათასი მანეთი. ამ თანხიდან უკვე არსებულ პირველ დაწყებით შკოლებს მიეცემა დახმარებათ: ერთკლასიანს—700 მანეთი და ორკლასიანს—კი 1400 მანეთი, იმ პირობით კი, თუ სოფლის საზოგადოებანი იკისრებენ მოვალეობას ჩვეულებრივათ შეიტანონ ამ შკოლების შესანახათ მათის მხრით გაღებული თანხა ხაზინაში.

ამიტომ, და თანახმათ ქუთაისის გუბერნიის სახალხო შკოლების დირექტორის წერილისა, მოგაბდობთ თქვენ ზემოთნათქვამი, ადგილობრივ სახალხო შკოლების ინსპექტორების თანადასწრებით, გამოუცხადოთ სოფლის საზოგადოებათ, რომელთაც ხაზინაში ჯეროვანი თანხა სამინისტრო შკოლების შესანახათ შეაქვთ, და აუხსენით რომ მათგან ხაზინაში შესული ფული დაიხარჯება ამავე შკოლების საჭიროების დასაფარავათ; სახელდობ: გაუმჯობესდება შკოლის მატერიალური მხარე, შეიძინება სასწავლო და სამკითხველო[ებ]ისთვის საჭირო წიგნები, მოეწყობა ხელსაქმის სწავლა, გალობა, ვარჯიშობა და სხვ.

როცა ამათუიმ საზოგადოებამ განაცხადოს სურვილი ასეთ პირობებში სახელმწიფო ხაზინიდან მატერიალური დახმარების მიღებისა, ჩამოართვით კანონიერათ შედგენილი განაჩენი -დადგენილება (ხელმოწერილი უნდა იქნეს საზოგადოების 2/3 წ. გლეხობისა, ვისაც სოფლის ყრილობაზე სრულუფლებიანი ხმა აქვთ)... ეს დადგენილება უნდა დამოწმებული იყოს ადგილობრივი მამასახლისისა, ან მისი თანაშემწის მიერ, რომელმაც უნდა აღნიშნონ რამდენია იმ მცხოვრებთა რიცხვი მათს საზოგადოებაში და ან სოფელში, ვისაც უფლება აქვს სოფლის ყრილობის გადაწყვეტილებაში მონაწილეობა მიიღოს: დადგენილება შეტანილი უნდა იქნას სოფლის სამართველოს შესაფერ დავთარში და შემდეგ გადაეცეს სახალხო შკოლების ინსპექტორს განკარგულებისთვის.

აქვე მოგვყავს ამ საქმისთვის საჭირო დადგენილების ფორმა; (ვსთხოვ რედაქციას ამ ფორმის დედანი რუსულათ მოათავსოს, რადგან შეიძლება სოფლის სამართველოს წარმომადგენლებმა ქართული თარგმანით შეცთომით ისარგებლონ).

**Приговоръ.**

1913 года...... „ „ дня. мы жителю с..........,..... общества, .... ..... Уѣзда, Кутаисской губерніи, состоящаго изъ,......дымовъ сего числа собрались въ числѣ ..... человѣкъ, имѣющихъ право голоса на сходѣ и по обсужденіи вопроса объ испрашиваніи дополнительнаго казеннаго пособія на наше.......... (одноклас. или двухклассн.) училище **постановили**: 1) просить дирекцію народныхъ училищъ Кутаис-

---

...ლზედაც გერმანელი და რუსი ებრაე-... ლაპარაკობენ,—მასში ებრაულთა ...ენტი იმდენი ურევია რამდენიც ქარ-...ში.

... რომ გერმანულის მცოდნე—ყოველ-... გაუგებს ახალ ებრაულათ მოლაპა-... ებრაელს.

...რაელობას თავისი ზნეჩვეულება მხო-... ისეთ ქვეყნებში შერჩენია კიდევ, ...ც მას განსაკუთრებით სდევნიან, მაგ. ...ეთში, მაგრამ იქაც კი ასეთი მოეპოე-...ბალ ხალხს სარწმუნოების წყალო-...

...ც შეეხება გერმანიის ებრაელობას, ...ეთი სიმწვავით არ სდევნიდენ მათ—...სიც ნელ-ნელა გაითქვიფა გერმანე-...ში. ასე რომ გერმანელ ებრაელს ხში-...ვერც კი გაარჩევ ნამდვილ გერმანე-...ან, თუმცა დევნა ახლა იქაც დაუწ-... ებრაელებს, საკმაოა მარტო ის სა-...ხვინო ცემა-ტყეპა მოვიგონოთ, რო-...ც ხდებოდა ვენის უნივერსიტეტის ...ნელ და ებრაელ სტუდენტთა შო-...

...ოს ასეთი უსიამოვნება სწარმოებს ...ის ყველა გერმანულ საუნივერსიტე-... ქალაქში.

...სულ პრესაში კი ხშირათ მსმენია ...ოს ეს რუს და გერმანელ სტუდენტ-...ორის ყოფილიყოს—მაგრამ ეს შეც-...ა. რუსეთელი ებრაელები—გერმანე-... რუსებათ აცნობენ ხოლმე თავს—...ამიტომ პრესაც შეცთომაში შე-...

...ც ებრაელ ახალგაზდობის ცხოვრე-...დააკვირდება, ის ნათლათ შეამჩნევს ... ორ მთავარ მიმართულებას.

...ითოეული მათგანი თავისებურათ ...ლობს მოუაროს იმ ტრაგიზმს, რო-...ც „ებრაული საკითხი“ ეწოდება.

...თნი სცდილობენ, რაც შეიძლება ... გაითქვიფონ სხვა ერებში. ისინი ...ოს ხელს უწყობენ იმ პროცესის ...ვრებას, რომელიც შედეგია ისტო-...ლი ჩარხის ტრიალისა.

მაგრამ არავის უნდა მათი მიკედლება. ყველგან სდევნიან ებრაელებს. აბა, რა გაემტყუნება რომელიმე ნახევრათ ველურ ხალხს,—როცა თვით კულტურული გერმანელებიც ზიზღით უმზერენ ამ წამებულ ერს.

მერე—ეს არის სიონელების მიმართულება. ამ მოძვრებამ დიდი ხანია, რაც ებრაელი ახალგაზდობის ერთი მოწინავე ნაწილთაგანი გაიტაცა.

სიონისაკენ მოუწოდებენ ისინი მშობელ ხალხს.

მაგრამ ესმის კი ებრაელ ერს მათი ძახილი?

და კიდეც რომ ისმინოს, განა შესაძლებელია—ეს საკმაოთ ებრაელი, მთელ დედამიწის ზურგზე დაბნეული ერი, ძველი სიონის ბჭეებში შეეტიოს! აბა, იფიქრე როგორი ზარა უნდა ეპყრათ მათ ხელში, რომ საფრთხესკენ დაქანებული ერი მოაბრუნოს.

როგორ ტკბილ ხმოვან ფანდურს უნდა აჟღერებდენ ისინი, რომ ერთხელ კიდევ მოაგონონ ერს დავითის ქნარის ღვთაებრივი ქვითინი!..

ეჰ, ვინ გაიგებს იმ უტეხ რამესავით შავს ჰმუნვას, რომელიც მზის ჩასვლისას ღიღინით მიმავალი ებრაელის სულში სდუღს! .

რამდენ პატიოსან, მხნე ახალგაზდა ებრაელის სულს აცისკროვნებს ის აზრი, რომ ოდესმე-ებრაელი ერი თავის ნარეკლით დასერილ ფეხს ერთხელ კიდევ დაიბანს იორდანის წმინდა წყალში. რამდენს სჯერა, რომ ისრაელი კვლავ აღადგენს დამხობილ სიონს და ცრემლით განბანს მის მტვერიან სარკოვაგებს!..

ერთ გერმანულ უნივერსიტეტის დერეფანში ნაცნობმა გერმანელმა ვინმე ებრაელი სტუდენტი გამაცნო სრულიად შემთხვევით.

ორ-სამჯერ მასთან დალაპარაკების შემდეგ მივხვდი, რომ ის სიონელი იყო. მართალი გითხრა იმ ჭაბუკმა ძლიერ დამაინტერესა. გვარიანი ხნის ნაცნობობას შემდეგ—ჩვენ ერთი მეორეს დაუახლოვდით.

ღმერთო ჩემო, როგორი რწმენის კაცი იყო!..

პირდაპირ შეშლილი იყო თავის იდეით.

როცა იგი პალესტინაზე ლაპარაკს დაიწყებდა, მაშინ უნდა გენახა.

მისი მკრთალი, ჰორფლიანი სახე მზესავით ბრწყინავდა, თვალები უფართოვდებოდა—რამდენ სულიერ ძალას ამოვიკითხავდი ხოლმე მის სახეზე!..

პალესტინაში უკვე საკმაოთ მოზდილი ახალშენი გვაქვს ებრაელებს.

მეტყოდა ხშირათ. სადაც საშვალო სასწავლებელიცაა. სწავლა ძველ ებრაულზე სწარმოობს, რა თქმა უნდა ბავშებიც ებრაულთ ლაპარაკობენ... იცით? მოსეს ენაზე?!..“

— რატომ არა, შეიძლება.. —ვეტყოდი მე. თუმცა ვერ წარმომედგინა, რომ მოსესა და სოლომონის ენაზე შეიძლებოდა ლაპარაკი. და მართალი გითხრა არც ახლა მწამს... ადრე მასთან კამათში ის აზრი გამომითქვამს, რომ ებრაელი ერის სიონში დაბრუნება შეუძლებელია... და მერე ქრისტეს დაბადებამდი არსებულ ენის აღდგენა. უფრო მოსეს აღდგენას დავიჯერებ ვიდრე მის ენის განახლებას—მეთქი. მაგრამ შემდეგ კი არას ვეტყოდი ამის მზგავსს, რადგან შევატყვე, რომ ეს მას სწყინდა—მართლაც და ეს იმ გვარი იქნება, რომ ახლა საქართველოში ვინმემ გ. მერჩულის, ან პეტრიწის ენის აღდგენა მოინდომოს და მასზე კერძო ცხოვრებაში ლაპარაკი. მაგრამ როცა ამ იშვიათი რწმენით შეპყრობილ ადამიანს ვუყურებდი, ვფიქრობდი: სწორეთ ასეთი ადამიანები ქმნიან ისტორიას-მეთქი.

თვითონ ის ებრაელი რუსეთიდან პალესტინს გადასახლებულა დედ-მამით მაშინ როცა რუსეთში დიდი „პოგრომები“ იყო. სხვათა შორის, იგი რუსულათ არაოდეს არ ლაპარაკობდა.

გერმანულ უნივერსიტეტში პედაგოგიკას სწავლობდა. გათავებას შემდეგ კი, ისევ პალესტინას აპირობდა წასვლას და იქ პედაგოგიური მოღვაწეობის დაწყებას თავის მოძმეებში. როგორც მის ამხანაგებისგან გამიგია, ჩინებულათ იცოდა ძველი ებრაული, თუმცა მის რწმენას ცოტა სკეპტიკურათ ვუყურებდი, მაგრამ ყოველთვის მზათ ვიყავი თავისუფალ დროს მასთან მებაასა. სადაც არ უნდა შევხვედროდით ერთმანეთს—სასადილოში, თეატრში, თუ უნივერსიტეტის დერეფანში, ყველგან, ერთხელ ძლიერ გახარებული შემხვდა.

საჩქაროთ ერთი გერმანული გაზეთი ამოიღო—ჯიბიდან—და ადრიანოპოლის დამხობის ამბავი წამიკითხა არა ჩვეულებრივი პათოსით.

— აი, ხომ ხედავ ოსმალეთი კრიზისშია, ახლა მას ფული სჭირია ფული კი ჩვენებსა აქვთ. თუ ასე გაგრძელდა, შეიძლება მან სულ იაფათ დაგვითმოს პალესტინა“.

ცოტა ხნის განმავლობაში მას კიდევ რამდენჯერმე შევხვდი იმ ქალაქში. ერთ თვეს შემდეგ კი იქიდან სხვაგან წასვლა—მომიხვდა. ერთხელ ერთი გერმანული გაზეთის ქრონიკაში პატარა ცნობა ამოვიკითხე. ძლიერ დამაღონა, თუმცა იგი ჩემთვის სრულიად შორეულ კაცს შეეხებოდა.

გავიგე: ჩემს ნაცნობ ებრაელს თავი მოეკლა. „მიზეზი გამოურკვეველიაო“ ეწერა ამბის ბოლოს.

ბოლო ხანებში, ახლა მაგონდება, იგი არაჩვეულებრივათ მოწყენილი მხვდებოდა.

მახსოვს, ერთჯერ მეუბნებოდა:

ერი რომ საკუთარი ტერიტორიას და ენას დაკარგავს, უმჯობესია მაშინვე მოკვდეს. შორეული მისი ცხოვრება მომაკვდავის ბორგვაა მხოლოდ...

გამაცვიფრა, სწორეთ გითხრა, მისმა იჭვნეულმა ლაპარაკმა.

ნუთუ ასეთი მტკიცე რწმენის სულსაც კი სჩვევია ეჭვი?.. ვთქვი ჩემს გულში.

სალი კლდეც მტკიცეა, ჩემო კარგო, სალი კლდეც, მაგრამ რამდენჯერ მინახავს რომ მას გული გაპობია—და წყალი მოჟონავდა! ადამიანის გულიც შეურყეველი სალია ხშირათ, რწმენაც მტკიცე კლდე.

მაგრამ იმავ კლდესავით მასაც უეცრათ გაბზარვა, მასავით ეჭვის ცრემლი სჩვევია თურმე.

ასეა: რწმენა თუ კლდესავით უდრეკია იმავე დროს მინასავით რხეულია.

ის ახალგაზდა რომ მომაგონდება, წამსვე ისრაელი ერის ბედ-იღბალი წარმომიდგება თვალწინ. და მასთან ერთად მომავალი ყოველი ერისა, რომელიც თავის მიწა წყალსა და ენას დაკარგავს.

მართლაც ერს როცა ეს ორი სიმპტომი ხელიდან გამოეცლება, რმჯობესიაი გი მაშინვე მოკვდეს. მაგრამ ვაი, რომ იგი ასე უცებ არა კვდება! ერის სიკვდილი, ისე როგორც ერთი კაცისა მწარეა ალბათ, მაგრამ ასკეცათ მწარეა მით, რომ სულის ღაფვით ცხოვრობს, სიკვდილსა და სიცოცხლეს შორის ბორგავს, და მთელ წყებას ახალთაობისას —სიცოცხლეს უწამლავს. ვაი, იმ ერს, რომელსაც ასეთი სიკვდილი ხვდება წილათ.

მტერი და მოყვარე გაურბის...

როგორც ცალკე ადამიანებს ისე საერთოდ ერებსაც ასეთი პსიხოლოგია აქვთ: მონა, გადაგვარებული არავის უყვარს... ქვეყანაზე პატივისცემას იმსახურებს მხოლოდ ძლიერი, მშვენიერი, ძალითა და ღონით სავსე არსება. რადგან მიწა ძლიერთა კერძია.

მონები და ავათმყოფები კი მხოლოდ მათ ნასუფრალს თუ ეღირსებიან ოდესმე.

და მართლაც: „ვაი მას, ვისაც სამშობლო არა აქვს“.

(დასასრული ხვალ).

კ. გამსახურდია.

მიღებულია:
რკინის კოჭები შენობისთვის (Дутавровыя балки)
ნამდვილი ბახმუტის ალიბასტრი.
✕✕ იყიდება ზომიერ ფასათ ✕✕

# სავაჭრო სახლი ი. გოკიელის შვილების ქუთაისში

| ბორჯომის წყალი | | 1 ბოთლი | 10 ბოთ. | ყუთი |
|---|---|---|---|---|
| | 1/1 | 25 კ. | 2 მ. 40 კ. | 1 მ. 5 |
| | 1/2 | 16½ კ. | 1 მ. 60 კ. | 15 მ. |
| ნარზანი და ესენტუკი № 20 | 1/2 | 14½ კ. | 1 მ. 40 კ. | 13 მ. 5 |

ავეჯეულობისა და ჭურჭლეულობის მაღაზია ქ. ქუთაისში.

# ფ. ს. ფილიპოვისა.

ალექსანდრეს ქუჩა

გაიხსნა სპეციალური განყოფილება ელექტრონის მოსაწყობი მასალების და არმატურებისა, რაც ყოველთვის უმაღლესი ხარისხის მოგვეპოება ცნობილი ფირმებისაგან. აგრეთვე ვკისრულობთ სახლის ავეჯით და ელექტრონის გასანათებელი მავთულების მოწყობას; ყოველთვის მოგვეპოება მსურველთათვის სპეციალისტი მონტიორები. ჩვენი მასალების ხარისხის სიკეთეს ვკისრულობთ. ფასები ყოველი კონკურენციის გარეშე.

პატივის ცემით ფ. ს. ფილიპოვი.

ской губерніи къ отпускаемому въ настоящее время казенному пособію но наще...... училище въ размѣрѣ....... руб....коп. ассигновать дополнительное пособіе въ суммѣ....... руб....коп.; и 2) съ своей стороны мы обязуемся всѣ ранѣе опредѣленныя отъ нашего общества средства на еодержаніе упомянутаго выше........ училища ежегодно вд размѣрѣ.....руб....коп. вносить и на будущее время на нужды названнаго училища въ томъ же размѣрѣ.

Въ чемъ и подписуемся.......

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ჩვენი სოფლის საზოგადოება ამით ისარგებლებს და საქმის შინაარსის გაცნობას შემდეგ შესაფერ გადაწყვეტილებას დაადგენს, რომ შემდეგში ცოტათი მაინც შეუმსუბუქდეს უმწეო მატერიალური მდგომარეობა ჩვენი სოფლის შკოლებს, თუ კი, რასაკვირელია, სოფლის მასწავლებლების ამ საქმეში ჩარევით კეთილგონიერათ დაიხარჯება ხაზინიდან და საზოგადოების ჯიბიდან გაღებული ფული.

სოფლის მასწავლებლები, სოფელში მცხოვრებნი ცოტათ თუ ბევრათ შეგნებული პირნი ზნეობრივათ ვალდებული არიან შესაფერი წინასწარი ზომები მიიღონ, რომ საზოგადოების შეუგნებლობა წინ არ აღუდგეს და ხელი არ შეუშალოს შესაფერ გადაწყვეტილების გამოტანას, რადგან 1913—1914 სასწავლო წელი მალე დაიწყება და ამიტომ შეიძლება ამა თუ იმ შკოლას უამისოთ დაეკარგოს ხაზინიდან დაპირებული დახმარება. ვნახოთ, როგორ სიმკვირცხლეს გამოიჩენენ აქ ჩვენი სახალხო მასწავლებლები.

ძლიერ კარგს იქნებიან ბ.ბ. მაზრის უფროსები და მათი თანამოსამსახურეები, თუ ზემოთ ნაჩვენებ მოწერილობის შესრულებას ახლავ შეუდგებიან.

ხრესილელი.

## ოკრიბა.

ს. რიონი. ხშირათ წაიკითხავთ გაზეთში, ხალხმა გამოიფხიზლა, ხსნის სასწავლებლებს, სამკითხველოებს, კოოპერატივებს. ყველგან თანდათან მატულობს კულტურული დაწესებულებანი, მაგრამ, საუბედუროთ, ეს არ ითქმის ოკრიბის მხარეზე. აქეთ ხალხმა თუ რამე ორი კაპიკი იშოვა, სულ ღვინოში და დღეობებში ხარჯავს. აი, ს. რიონი: ორას კომლში ათი კაცი თუ მოიძებნება წერა კითხვის მცოდნე და ოცი ისეთი, რომ თავის სახელი და გვარი მოაწეროს. არავინ იმაზე არ ზრუნავს, რომ ერთგანყოფილებიანი სასწავლებელი მაინც გაიხსნას. ერთ წელიწადზე მეტია ხალხმა დიდი უარისა და ვაი-ვაგლახის მერე, განაჩენი დაადგინა რომ ათასხუთას მანათს გამოვიღებთ ორ-კლასიანი შკოლისთვის, თუ ამდენსავე მთავრობაც შეგვეწევაო, მაგრამ ამდენხანს პასუხი არაა. ამ ხნის განმავლობაში ხალხსაც გული აუცრუვდა სასწავლებელზე და ადგილობრივი ღვდლის წინადადებით განიზრახეს სამრეკლო ააშენონ ეკლესიისათვის, რომელიც 1700—3000-მდი დაჯდება. და სწორეთ იმ დროს როცა ხალხი ოსტატებს ეძებდა სამრეკლოს ასაშენებლათ, ადგილობრივმა სოფლის მოხელეებმა ხალხს გამოუცხადეს, რომ ეკენისთვიდან შკოლა გაიხსნება და სანამ საკუთარი სახლი აშენდებოდეს, შენობა იქირავეთო. მაგრამ ბევრმა უარი განაცხადა: ვისაც შვილი ყავს ასაზდელი შენობაც იმათ იქირაონ. ჩვენ კი თუ ორი კაპიკი ვიშოვეთ სადმე, სამრეკლოს ავაშენებთო, ამ აზრს კვერი დაუკრა ადგილობრივმა განათლებულმა ღვდელმაც. ის კი არ უთქვამს მამაცხონებულს, რომ სამრეკლოს აშენებას კიდევ მოვესწრებით, ჯერ შკოლაზე ვიზრუნოთ უფრო საჭიროაო. აქ ბრალი სწავლა განათლების სათანადო მთავრობასაც ედება განაჩენის პასუხის დაგვიანებისთვის. ამაზე უკეთ საქმე არც ს. რიონშია. აქ ხალხისაგან ცივი უარი მიიღეს—შეძლება არ გვაქვსო. ან კი საიდან ექნებათ შეძლება, როცა ქუთაისში რო წავლენ, დაბრუნებისას რაც გზაზე სამიკიტნოებია ყველგან უნდა იყიდონ თითო ოროლი ბოთლი ღვინო...

სირცხვილი კია ამ ორი სოფლისთვის—ქუთაისიდან რვა ცხრა ვერსით არიან დაშორებული და ასე ახლოსაც ვერ მიუღწევია მათში შკოლის საჭიროებას. რა უნდა მოვთხოვოთ ოკრიბის სხვა მიყრუებულსა და მივარდნილ სოფლებს!?

შ. ჟ—ნია.

რედაქტორ-გამომცემელი გ. ჭელიძე.

## რკინის გზა

**ქუთაისიდან მიდის.**

**თფილისს:** სახალხო 5 ს. 10წ. დ.; სახ. 10ს. 6წ. დ.; ფოშტ. 11 ს. 55 წ. დ.; სახ. 11 ს. 27 წ. ღ.

**ბათომს:** სახ. 5 ს. 10 წ. დ.; სახ. 7 ს. 5წ. სად.; სახ, 11 ს. 27 წ. ღ.; ფოშტ. 5 ს. 21 წ. დ.

**ფოთს:** საავგარაკო 4 ს. 22 წ. დ.; სახალ. 5 ს. 10წ. დ.; ფოშტ. 5 ს. 21 წ. სად.; სახ. 7 ს. 56 წ. სად.

**შორაპანს:** საავგარ. 4 ს. 57 წ. დღ.

**ტყიბულს:** სახ. 7 ს. 50 წ. დილ.; სახ. 3 ს. 45 წ. დღ.

**ქუთაისს მოდის.**

**ტფილისიდან:** სახ. 7 ს. დილ.; სახ. 8 ს. 26 წ. სად.; ფოშტ. 6 ს. 56 წ. სად.; სახ. 1 ს. 26 წ. ღამით.

**ბათომიდგან:** ფოშტ. 1 ს. 20 წ. დღ.; სახ. 11ს. 14 წ. დ.; სახ. 1 ს. 26 წ. ღ.; სახ. 7 საათ. დილ.

**ფოთიდან:** საავგ. 10 ს. 3 წ. დილ.; სახ. 1 ს. 20 წ. დ.; სახ. 1 ს. 26 წ. ღ.

**შორაპნიდან:** საავგ. 9 ს. 31 წ. დილ.

**ტყიბულიდან.** სახ. 5 ს. 11 წ. დღ. სახ. 11 საათ. 9 წ. დილ.

✕✕✕✕✕✕✕✕✕✕✕✕✕✕✕✕✕✕✕✕✕✕✕✕✕✕✕

# აბანო
## ძმ. ყორყოლაძეებისა

**მიმართეთ პირდაპირ**

**15 მაისიდან გაიხსნა შესანიშნავი მადნეული წყალი.**

შემოწმებულია და გამოირკვა, რომ ეს მადნეული წყალი კურნავს სხვადასხვა სენისაგან, როგორც არის: ქარები (რევმატიზმი) კუჭის და თავის ტკივილი, ნერვების სისუსტე და სხვ. წყალი ცივი და თფილიც. ფასი ხელმისაწდომი. ხრესილის რკ. გზ. სადგურიდან ორმოცდაათი საჟენის მანძილზეა. იქვეა სუფთა ბინა და სასმელ-საჭმელი.

✕✕✕✕✕✕✕✕✕✕✕✕✕✕✕✕✕✕✕✕✕✕✕✕✕✕✕

# გ. მორდამის და ს. წერეთლის

ერთად ერთი წარმომადგენელნი ქუთაისის გუბერნიაში, ბათომის და სოხუმის ოლქში უმაღლესი სასახლის გოფმეისტერის, იური სტეფანეს მის ნეჩავ-მალცევის ბემსკის მინების ქარხნისა, მიაქციეთ განსაკუთრებული ყურადღება მინის ყუთზე ნიშანს „бемское“

რკინეულობის მაღაზიაშ იყიდება:

საუკეთესო
ქარხნებისგან
მიღებული რკინეული
საქონელი: კარის, ფანჯრის
და ლუმელის მოწყობილობანი;
სადურგლო ხელსაწყობი, ფანჯრის
მინები, რკინის ნიჩბები, ლურსმანი, მავთული, ყოველგვარი საღებავი წამალი,
ელექტრონის ზარის მოწყობილებანი, შპალიერი,
ცემენტი, ემალიანი ჭურჭლები, ასფალტი, და სხ.
ვაჭრობა პარტიით და წვრილათ ხელმისაწდომ ფასათ.
ქ. ქუთაისში, საკუთარ შენობაში, მიხაელის ქუჩაზე № 65.

# Единственное средство!!

Знаменитаго Професора
ПЬЕРЕ въ ПАРИЖѢ

## Порошекъ „ПЬЕРЪ“

При употребленіи нашего знаменитаго порошка „Пьеръ“ исчезаетъ всякая зубная и нервная боль, очищаетъ всякіе нарастающіе на зубахъ камни и наиболѣе испорченные зубы въ продолженіи одной минуты дѣлаются бѣлыми и красивыми а также блестящими какъ жемчугъ и во рту получается очень пріятный вкусъ.

Просимъ порошекъ „Пьеръ“ но сравнивать съ другими обманчивыми средствами, ибо одно лишь единственное средство есть только порошекъ „Пьеръ“ за которое получили тысячи благодарностей и множиство таковыхъ ежедневно прибиваетъ, которыя можетъ представитъ на каждое требованіе.

Цѣна жестяной коробки 1/4 фунт. порошка „Пьеръ“-70 коп. за 3 шт. 1. 85 коп. пересылка за счетъ заказчика (Вмѣсто денегъ можно присылать марками въ заказномъ письмѣ).

Высылается также и наложеннымъ платежемъ на 18 коп. дороже. Заказы и деньги адресовать: ЭКСПОРТЪ БЮРО ТОРГОВАГО ДОМА **ВЛАДИСЛАВЪ ГАЛЛЕРЪ, Варшава, Іерусалимская № 66.**



# !ЕСТЬ ОДНО ЛИШЬ СРЕДСТВО

**Отъ перхоти, выпаденія и для рощенія волосъ.**

## “ШИЛЛЕРИНЪ“

[ТРАВЫ].

У меня, психо- френолога Х. М. Шилера-школьника [автора научн. книгъ] отъ томленія, вслѣдствіи усыленныхъ занятій трудными оккультными науками, стали выпадать волосы и появилась обильная перхоть. Я испробовалъ всѣ почти существ средства, но ничто не помогло мнѣ. Я безнадежно примирился съ мыслю быть лысым однажды, разбирая старинную, рѣдкую медицинскую книгу, я нашелъ въ ней средство рощенія волосъ, состоящее изъ различныхъ травъ. Я составилъ его и сталъ имъ пользова

**Оно меня осчастливило! У меня прекратилась перхоть**

**у меня выросли чудные волосы!**

**✕✕ Мои волосы вызываютъ удивленіе всѣхъ! ✕✕**

Мое средство было многими и многимъ дало чудный ростъ волосъ, за что я получ множество благодарностей и отзывовъ. Я съ удовольствіемъ рекомендую мое средство нуждающимся въ немъ надеждѣ, что за него получу благодарность. Мое средство подъ ваніемъ „ШИЛЛЕРИНЪ“ разрѣшено Врачеб. Управой за № 6026.

„Шилеринъ“ является единственнымъ радикальнымъ средствомъ отъ головной пер выпаденія волосъ и для ихъ рощенія. „Шиллеринъ“ примѣняется съ большимъ успѣхомъ же для рощенія бороды и усовъ—Я получаю за него отовсюду множество благодарност

Здѣсь за недостаткомъ мѣста приводятся лищь нѣкоторые отзывы и благодар полученные мною за послѣднее время.

Если Вы для провѣрки напищите кому либе из нижеуказанныхъ лицъ, то прил конвертъ со своимъ адресомъ и наклеенной маркой

## Читайте!

священникъ Викторъ Качуровскій, Почт. ст. Березно, Волын. губ. пишетъ: Милостивый государь, г. Шиллеръ-Щкольникъ! Результаты отъ употребленія травы получаются поразительные Волосы перестали падать. и появилась растит ность на тѣхъ мѣстахъ, гдѣ ея совсѣмъ не было. Жаль что я такъ поздно уз е семъ средствѣ.

Любовь Васильевна Соловьева, С.-Пегербургъ Лицейская № 6. Благодарю Шиллера-Школьника за пробный „Шиллеринъ“, который примѣнила по указа Выпаденіе волосъ совершенно прекратилось.

Казимиръ Вильскій, Варшава, Хмѣльная 130, кв. 40, пишетъ: Приношу свою искреннюю благодарность Ваше дивное средство „Шиллеринъ“, благодаря торому у меня прекратилось выпаденіе и выросли густые волосы. Буду рекома вать всѣмъ нуждающимся въ этомъ средствѣ.

Поручикъ Лелекцій, Винница (Подольск. губ.) Пѣхотный Крымскій полкъ получилъ пробный пакетъ „Шиллерина“. Онъ оказываетъ лучше другихъ, испыт ныхъ мною средствъ. Прошу немедленно выслать большую коробку „Шиллерина“.

К. М. Левандовскій, надсмотрщ. телеграфа. Новоукраинка (Херсонской губ. Очень благодаренъ Вамъ за траву „Шиллеринъ“, Ваше средство отлично дѣйствуетъ у меня перестали падать волосы, и перехоть совершенно прекратилась.

Софія Васильевна Грнцанъ, Кишиневъ, ул. Шмидта 130. Прошу немедл выслать пакетъ травъ „Шиллеринъ“. Ваши травы оказали большую пользу мо волосамъ. Перхоть исчезла, а главное, волосы мои укрѣпились и совершенно пе стали падать.

Начальникъ станціи І. А. Якубовичъ, Калуга ст. М.-К, В. Ж. Д. Обращаюсь къ Вамъ съ просьбой выслать мнѣ большую кор. травъ „Шиллеринъ“. Получен отъ Васъ пробой остался очень доволенъ „Шиллеринъ“. Оказываетъ хорошее дѣйс твіе, за что очень Вамъ благодаренъ.

Марія Бухвальдеръ, жена преподавателя Реальнаго Училища Полтава, Про ровская № 2. Въ прошломъ году получила отъ Васъ средство „Шиллеринъ“. От употребленія прекратилось выпаденіе: волосы стали чудно рости, посѣдѣвшіе воло приняли природный цвѣтъ. Въ настоящее время прошу выслать для моей куз одну коробку травъ „Шиллеринъ“.

Екатерина Максимова Дородныхъ, Серпуховъ, Моск. губ. Пробный пакетъ тр я получила. Восхищаюсь этимъ средствомъ. Послѣ пяти разъ втиранія резуль получился удивительный, перхоть исчезла, волосы—мягкія и блестящія. Серде приношу благодарность и прошу выслать большую коробку травъ за три рубля;

Священникъ Л. С. Ломакинъ гор. Илекъ. (Уральск. Обл.) За присланный па кетъ травъ приношу вамъ искреннюю благодарность. Ваше средство отлично дѣйс твуетъ у меня перестали выпадать волосы и замѣтно показались новые волосы, а ст рые также стали замѣтно рости.

М. Ф. Бѣляевъ, Черниговъ, Гончая ул. соб. д., № 62-й Пробная доза „Шил леринъ“ вполнѣ оправдала ожиданія: мои волосы бозусловно укрѣпились. и я с удовольствіемъ выписываю большую коробку.

Платонъ Егоровъ, Оханскъ, Перм. губ. Благодарю Х. М. Шиллера-Школьни ка за пробный пакетъ травъ „Шиллеринъ“, который быстро оказалъ свое прев ходное дѣйствіе. У меня прекратилось выпаденіе и волосы стали чудно рости. Про шу выслать еще три пакета.

Кириллъ Фурманъ, Алупка, Тавр. г. Примите сердечно благодарность за Ваше дивное средство „Шиллеринъ“, благодаря которому у меня прекратилось выпаденіе и появилась растительность. Буду рекомендовать всѣмъ нуждающимся въ этомъ ср ствѣ. Пришлите еще два пакета Ващихъ травъ;

М. О. Хандоянъ, Нахичевань. За присланную траву „Шиллеринъ“ очень бла годаренъ; средство превосходное дѣйствуетъ для рощенія волосъ и усовъ.

М-ме. Варвара Фисунъ, Хороль. Не выберу словъ выразить Вамъ свою бла дарность за Ваше средство „Шиллеринъ“. У меня прекратились головныя боли превосходно растутъ волосы.

Е. В. Минаевъ, Одесса. Сроицкая 39, кв. 12. Увѣдомляю Васъ г-нъ Шиллеръ, что первая проба „Шиллеринъ“ дала блестящіе результаты. Прошу выслать боль шую коробку.

М-ме Шишова, С.-Петербургъ, Благодарю Васъ за пробный пакетъ Вашего средства „Шиллеринъ“. Оно хорошо Повліяло на мои волосы: перхоть прекрати лась и волосы перестали выпадать.

Мое средство „Шиллеринъ“ тщательно изслѣдовано и строго провѣрено. Оно дѣйствуетъ благотворно. вполнѣ оправдывая свое назначеніе. Прекращаетъ перхоть, оздоровливаетъ кожу, укрѣплаяетъ корни и даетъ здаровую и богатую растител ность.

„Шиллеринъ“ съ успѣхомъ примѣняется также для рощенія бороды и усовъ.

Пакетъ травъ „Шиллеринъ“ съ подробнымъ описаніемъ и наставленіемъ какъ имъ пользоваться и брошурой съ Отзывами и благодарностями продается на мѣстѣ во всѣхъ аптекахъ и аптекарскихъ магазинахъ за 28 коп. высылается Иногороднымъ за 35 коп. наложеннымъ цлатежемъ на 16 коп. дороже. Марки просимъ присылать только въ заказныхъ письмахъ.

Нашъ адресъ: Варшава, Психо-Френологу Х М. Шиллеръ-Школьнику Пенкная 25

**Требуйте „Шиллеринъ“ во всѣхъ аптекахъ и аптекарскихъ магазинахъ.**

სტამბა „ძმობა“ კაზკაოვის ქუჩა სახლი № 17.